

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoвъ“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრულად ქვანახტყელა უკმარ-  
დი 25 მანათი; პირველი 50კ. კვანახტყელა უკმარ-  
ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-  
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამო-  
ღებს დასაბჭად გამოცხადებულ წერილებს. დაუბჭად წერი-  
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

## შედეგი №-რი გამოვა აგვისტოს 8-ს

### ერთი ძველი ჩველება ტყუილად მიტოვებული

თბილისი, აგვისტოს 6-ს.

ამ დღეებში წაეკითხეთ, რომ მენ-  
გრიანში ყოფილა გამოფენა, რომელ-  
ზედაც ხალხის, მეტადრე სოფლის  
ხალხის ნაწარმოებს საპატიო ადგილი  
სჭერია. იქ სიამაყით გამოაუფენიათ  
ნაკერი პირსახოცები, თავშლები, ქი-  
სები და სხვა ხელ-საქმე, რომელნიც  
ძლიერს ორთქლის მაშინას კი არ  
უწარმოებია, არამედ შეუკრავს და  
მოუქსოვია უბრალო სოფლის ქალის  
ხელს. ღაცვას ამისთანა წარმოე-  
ბისა, რომელიც ხალხს განსაკუთრე-  
ბულს ბეჭედს ასვამს და ქვეყანაში  
ამაყად თავს თავს აჩენებს დიდი  
მნიშვნელობა აქვს და ვენგრელებ-  
საც შეუფენიათ ეს მნიშვნელობა. მენ-  
გრის დიდი კაცი ცდილობენ თურ-  
მე ხალხმა თავისი ხელსაქმე არ დაი-  
ვიწყოს და ყოველის მხრივ ხელს  
უწყობენ მას, როგორც სიტყვით, ისე  
საქმით....

სასიამოვნო ამბავია და სწორედ მი-  
საბაძავიც.

იყო დრო, როცა ჩვენს სოფლებ-  
შიაც ჰყვარდა სხვა-და-სხვა ხელ-საქმე;  
როცა ხნიერი დედა-კაცები, ამისთანა

ხელობაში განსწავლულნი, შემოის-  
ხამდენ ხოლმე გარშემო ახალ-გაზდა  
ქალებს და თავიანთ ხელმძღვანელო-  
ბის ქვეშ აკრეფინებდნენ, ართვინებ-  
დნენ, აქსოვინებდნენ. მარგა, ყაის-  
ნალი და სხვა სახელსაქმო ავეჯი,  
რომელთ სახელებიც კი არ გვაგონ-  
დება, მაშინ დიდს პატივში იყვნენ და  
ჩვენი ქალების ხელსაქმეს თამამად  
შეეძლო მიეზინდა ყურადღება თვით  
გემოვნება-გახსნილის კაცისა.

ჩვენი ქალები ვერავითარს შესაწყნა-  
რებელს საბუთს ვერ წარმოადგენენ,  
რომელითაც შეიძლება აღსნა ამ  
სასარგებლო ჩვეულების თავ-მინებე-  
ბისა. ჯერ იგინი ისე გამეცნიერებულ  
ნი არ არიან, რომ დროს უქონლო-  
ბით ახსნან თავიანთ «უსაქმურობა»  
და თუნდ ძალიან განსწავლულნიც  
იყვნენ, მაინც ხელ-საქმისათვის თავი  
არ უნდა დაენებებინათ, რადგან ადა-  
მიანს სხვა-და-სხვა საქმე, ტვინის მუ-  
შაობასთან ერთად ხელის მუშაობა,  
თუ არ არგებს, ვნებას არას მოუ-  
ტანს.

მაშ ნება მოგვცენ ჩვენმა მანდი-  
ლოსნებმა და ჩვენ ვიბოვნით თუ შე-  
საწყნარებელს მიზეზს არა, შეუწყნა-  
რებელს მაინც, რის გამოც მათ ზურ-  
გი შეაქციეს ჩვენს ძველებურს ხელ-  
საქმეს და არაფერი კი არა შეიძი-  
ნეს რა იმისთანა, რასაც იმის მაგიე-  
რობა შეეძლოს. ეს მიზეზი არის ყო-  
ველი ძველებურის უარ-ყოფა, აბუჩად

აგდება, თუნდ ეს ძველებური წარ-  
მოადგენდეს ძვირფასს ჩვეულებას, ჩა-  
მომაველობით შემუშავებულს და მრავ-  
ალის შრომით შეძინებულს. «როგორ  
უნდა ჩივიყოლოთ თვალები ქარგა-  
ში და ძველებურ საკრავებში, რო-  
დესაც ზინგერის მაშინა წინ გვიდგას  
და ფხის დაჭერის მეტი არა გვინდა-  
რა, რომ თავისით დატრიალდეს და  
თავისით შეგვიკროსო» — ბძანებენ  
ჩვენი ქალები. მინ ამბობს, ზინგერის  
მაშინა კარგი რამ არის, მაგრამ ამის  
მთქმელი ერთს რასმეს ნუ დაივიწყე-  
ბენ: იმ ხალხს ხალხობა აღარ ეთქმის,  
რომელსაც არა აქვს თავისებური მი-  
წის წარმოება, თავისებური დროს  
გატარება, თავისებური ტანისამოსი,  
თავისებური ხელსაქმე — ერთის სიტ-  
ყვით რომ გავთავოთ — თავისებური  
კულტურა....

### შინაური ქორნიკა

სურამიღამა გვეწერენ: ძვირას  
სალამოს ზურამში გამართულმა კო-  
ნცერტმა ჩინებულად ჩაიარა არა  
მარტო იმიტომ, რომ ამ პატარა  
დაბამ «წერა-კითხვის საზოგადოე-  
ბას ათ-თუთმამდე შესწირა», არა-  
მედ იმიტომაც, რომ კონცერტი მართ-  
ლა კონცერტი იყო და სრულიად მოუ-  
ლოდნელი სიურპრიზი სურამელები-  
სათვის. რამდენიმე პიანისტი, რომელთა

შორის იყო დიდის ნიჭის პატრონი ბ.  
მიშნეცკი, სკრიპკაზედ დამკრეფელი, მო-  
მღერლები; ლექსების წამკითხველნი  
ქართულად და რუსულად, ამშვენებ-  
დნენ ამ კონცერტს. კონცერტის მო-  
თავის პატივცემულის მკატ. ადამ.  
ასულის მოატის თაოსნობით უბრა-  
ლო ზალა ისე მოერთოთ ყვავილე-  
ბით და ფოთლებით და ისე დაემშვე-  
ნებინათ, რომ ამ საღამომ სწორედ  
სამოა შთაბეჭდილება დასტოვა ყველა  
იქ დამსწრეზედ.

შილოქსერის კომიტეტის თა-  
ოსნობით რკინის გზის ყველა სტან-  
ციებში გამოუკიდნიათ დარიგება იმის  
შესახებ, თუ როგორ უნდა იცნონ  
ფილოქსერა და რა ღონისძიება მიი-  
ღონ მის მოსასპობად. დარიგება არის  
დაბეჭდილი რუსულს, ქართულს, სომ-  
ხურს და თათრულს ენებზე.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ შორის მას-  
რის უფროსს წარუდგენია უმაღლესის  
მთავრობისათვის სურამელების თხოე-  
ნა, რომ ეს დაბა ქალაქად გადაკეთდეს.

ბუშინ ჩამოვიდა რუსეთიდან  
თბილისში ბ-ნი არტურ ლეისტი, რომ-  
ელიც აგერ რამდენიმე წელიწადია  
გულ-მოადგინედ სწავლობს ქართულს  
ენასა და ლიტერატურას და თავის  
წერილებს საქართველოს შესახებ ჰბე-  
ჭდავს პოლშურსა და ნემეცურს გა-  
ზეთებში. ბ-ნი ლეისტი დღეს დილით

### საკვირაო ეკლტონი

კითხვის სურვილი ჩვენში. — რა წაი-  
კითხონ? — მწერლებმა კალმის ნაცვ-  
ლად საანგარიშო ჩოთქი დაიჭირეს  
ხელში და ვისი ბრალია? — საკალმო  
მასალა აღარ არისო. — არის. — მე 40  
წლის სტუდენტის საჩივარი ახლან-  
დელზე. — ვასუხს მოუცადოს. — სახე-  
მარო მასალა უფრო ბევრია, თუ რას-  
მეს დასწერენ. — ქართველის შეხედუ-  
ლება ცხოვრებაზე და მისი იდეალი. —  
კანეთის მამულები იყიდება. — გორში  
ქეგლები შენდება. — ზორეშანა და რუს-  
თველი. — არიან ტიპები.

მას აქვთ, რაც «ქაიკილა პატრიო-  
ტებმა», «პაკიებმა», «მესხმა», «მე-  
ველებმა», «გოგიტლებმა» და «იმ ლი-  
ბერალობა, ბურთივით მრგვალობა ჩვენს  
საზოგადოებას სტამბურის კითხვის  
სურვილი აღუძრეს, ჩვენი მკითხველე-  
ბიც კითხულობდნენ, რაც ხელში მოხე-  
დებათ, ოღონდ ქართულად კი იკოს  
დაბეჭდილი. მე ძლიერ კარგი ნიშა

\*) ამ ფელტონს დღეები შეეშალა და  
ვერის მაგიერად სამშაბათს გამოდის, მაგ-  
რამ იმედი გვაქვს ჩვენი მკითხველები ამ  
უნებურს დაგვანებას მოგვიტყუებენ.  
რედ.

ნი, მაგრამ ხან-და-ხან ამ გვარს კითხ-  
ვის მადან ცუდი შედეგაცა აქვს: ავად-  
მყოფს რომ მადა მოჰგვაროს ექიმმა,  
ბარაქალა მისს ჯანაოზობას, მაგრამ  
ახალს მადა-მოსულს თუ გაურჩეველად  
ყოველ გვარი საქმელი მიაწოდეს, ისევე  
საექიმო შეიქმნება, ავადმყოფობა შეუბ-  
რუნდება და შებრუნებული სნეულე-  
ბა, მოგვსენებათ, განახლებულს სიყ-  
ვარულზე უძლიერესია. ამას გარდა;  
მკითხველის გაურკვევლობის გამო,  
მწერლობის წარმომადგენელიც და  
ქურნალ-გაზეთობაც ხომ სრულიად  
დაცემა, გაზარმაცდება. სწორედ მა-  
შინ არის სატირალი მკითხველი სა-  
ზოგადოება, როცა იგი არას დას-  
დევს — პეტრეს დაწერილია, თუ მიხაკ-  
სი და ერთ ნაირის დაწაფებითა ჰკით-  
ხულობს. ბივიშვილსა და შოთას, სა-  
ბინინის «სამოთხეს» და «თეატრის  
რეცენზიას», მაგრამ ეგება მკითხველმა  
თავი ასე გაიმართლოს: «მეტი რომ  
არა გვაქვს, რა წაეკითხოთო». მეც  
მართალია, ჩემმა დღემ, მაგრამ რაც  
გვაქვს, იმაშიაც აირჩევა საკითხავი და  
თუ ეს არა კმარა (რალა თქმა უნდა, არა-  
კმარა) მაშინ ან მწერლობა და მანაშა-  
ვე, ან ის, რაც მწერლობას თვალ-საჩი-

ნოდ აბრკოლებს. ჩვენში ასეა წაღმა-  
უკულმა, არეულ-დარეული, მწერლობის  
საქმე და მკითხველი საზოგადოების  
გემო, თორემ სხვაგან ყველას ენის  
წვერზე უტრიალებს ზოგი მწერლის  
მახელობა, ზოგისა იდეა და მიმარ-  
თულება, ზოგისა დინჯი და დამჯდა-  
რი მსჯელობა; ზოგისა მკვირცხლი  
და ფრთა-გამლილი კალამი. მწერალ-  
საც თავის მკითხველი ჰყავს და მკით-  
ხველის აღლოც აღებული აქვს; იგი  
ცდილობს, რომ თავისი მკითხველის  
მისწრაფებისადმი მიჰმართოს თავისი  
კალამი, ისე აურჩიოს გონების საზრ-  
ლო, როგორც ძიხა არჩეულ საკენკი-  
ვით მიაწოდებს დაწმენდილს ლუქმას  
თავის უსუსურს. ამისთანა მწერალს  
უთუოდ ხშირად შეხედება ჩამოქვეი-  
თება, მაგრამ მკითხველი მაშინვე მიხე-  
დება, რამ დაამუხლისთავა ნაცნობი  
მწერალი, როდის შეეძლება წელში  
გამართვა და როდის დაიწყებს ჩვეუ-  
ლებრივს უბნობას. მწერალი და მისი  
მკითხველი ერთმანეთს უნდა ეარში-  
ყებოდნენ; როგორც გონიერი მიჯ-  
ნურნი, ერთმანეთს, დრო-გამოშვებით,  
უნდა ჰთვლობდნენ, ხან ერთი იტაცებ-  
დეს, ხან მეორე.

იყო დრო, როცა ჩვენს მკითხველ  
საზოგადოებას ყური მიპყრობილი  
ჰქონდა ზოგიერთებს ჩვენს მწერლებ-  
ზე, მაგრამ 10 წელიწადი გადის აგერ,  
რაც მათ კალამი დასდეს ძირს და  
საანგარიშო «ჩოთქები» გაიღეს მხარ-  
ზე. მაზეთებიც მუდამ დღე საანგა-  
რიშო, გაყიდვის, დაწინდების,  
გირაუნობის და სესხში აწერილისა  
და გასყიდულის სიებას ჰბეჭდავს. ჩვენ-  
და საუბედუროდ, ჩვენი საზოგადოე-  
ბაც ვერა რჩება ამ სიებას; ახლა მისი  
სული და ხორცი ამ სიებშია გართუ-  
ლი. ამ მხრით რომ იფიქროს კაცმა,  
თითქო მწერლობა დროს აჰყოლიაო,  
მაგრამ არც ასე ვარგა: მწერლობა  
თუ სრულიად დემორჩილა საზოგა-  
დოებას, მაშინ იგი მოთაობას დაჰ-  
კარგავს, გზის მაჩვენებელი აღარ იქმ-  
ნება; ხან-და-ხან საჭიროა, რომ მწერ-  
ლობამ და ნიჭიერმა კალამმა საზო-  
გადოების ხინჯიც უჩვენოს მკითხველს  
და ქადაგების კილოც მიიღოს მით-  
მა ნიჭიერმა ლიტერატორმა მითხრა:  
ახლა დაწმინდებულს ტიპს ვერ იშოვი,  
რომ გინდოდეს რომელიმე იდეის გა-  
ნხორციელებაო; მაგრამ მე ეგ არა  
მჯერა: ჩვენს საზოგადოებაში კარგი

გამეგზავრა საგურამოში ბ-ნ ილია შავკვიციანსთან.

ჩვენ ჩვენის მხრით გულითადს სალამს ეუძღვნით სასიამოვნო სტუმარს და ჩვენის ქვეყნის გულ-წოფელს მოყვარეს.

«მწყემსის» მე-15 №-ში სწერია: «თბილისში ერთი უბრალო ასობით დაწერილი დაბეჭდილი წიგნი აღმოჩენილად, რომლის ასობით უბრალო და სიტყვებით კი ქართულია.» — საინტერესოა ვიცოდეთ, რა შინაარსისა ეს წიგნი.

«დროისის» კორესპონდენციები

მუთაისი, აგვისტოს 1-ს — საქმად აგრილდა. თითქმის შემოდგომის დღეებია. აგერ ხუთი დღეა განუწყვეტლად წვიმს, და ჰაერში სითბომ ათი გრადუსით იკლო. მზლა ოთახში 15° სითბოა რეომიურისა, გარედ 12°. ამ გვარი ტაროსის ცვლილება მოსალოდნელი იყო. ამბობენ — ეს წვიმები მეტად სასარგებლო არის ყურძნისათვის და სიმინდისათვის; მაგრამ სურდო-ხველა კი გაახშირა უცბად ამინდის შეცვლამ.

მესამე ხიდი (ძველი ხიდი), როგორც მოგვხსენებთ, დასრულდა და ზედ სიარულიც დაიწყო. ამ ხიდმა ერთი-ორად შეამოკლა გზა ფერმისაკენ, და ამისათვის ფერმაში გაჩაღდა სეირნობა და ლხინი. ეს მშვენიერი ბალი ქალაქის საკუთრებაა; ეხლა მაინც ურიგო არ იქმნება ფერმა რიგიანად მოაწონს. პარგი იქმნება ვერცხვ — სამეურნეო საზოგადოებამ კერა დღეობით გამართოს ამ ბაღში საუბარი და კითხვა-მეურნეობაზე. აქ, მუთაისში, ურიც-

მწერალი ბევრს საზრდოს იშოვის, ახლა ჩვენში კალმის მასალა ბლომად არის: ყოველი წოდების ძველი საძირკველი დაირღვა და ახალი სათავე დაედო. ძალაქისას რომ თავი დაეანებოთ, სოფლას ახალგაზდა თავადი, ახალური და გლეხი ორმოცდა-ათი წლის მამას აღარაფრით აღარა ჰგავს: არც ტანით, არც ფეხით, არც აზრით, არც რწმენით, არც მისწრაფებით, არც გარეგანი შეხედულებით. ძალზედ ნურაფერს ვიტყვით, ქალი რომ დედას არა ჰგავდეს, ეს არაფერი საკვირველია, რადგანაც ახალი გარემოება და მოდა (პარგი იქმნება იგი, თუ ცუდი) ისე არავისზე არ მოქმედებს, როგორც ქალზე. ბავშვი როგორ არ არის? თუ ლუარსაბები და ღარეჯანები გაქარწყლდნენ, იქნება მბლობოვები გყავან; თუ ინსაროვის თანამოგზაური ელენესთან არაფერს დაბადა ჩვენმა ცხოვრებამ, ეგებ ზოლას ნანას მზგავსები გავიჩინდნენ!... შეველა ამაებს თვალ-ყურის გდება უნდა და სალიტერატურო მატარებელში შეტანა. მაგრამ ძალად ტრედიკოვის აწერინებდნენ მხოლოდ და ჩვენ რა უფლება გვაქვს მაინც დამაინც რომელსამე პოეტს და ლიტერატორს მოვხსნათ რომელიმე ტიპის აღწერა, ანუ შექმნა?

ხეი გლეხის შეილება სწავლობენ სხვადა-სხვა სასწავლებლებში, და ყველანი დიდი სიამოვნებით დაესწრებიან ამ გვარ სასარგებლო რამეს. არც მღვდლის შეილება და თავდაზნაურების ყმაწვილები მოერიდებიან მეურნეობის გაცნობას. მისურვებთ — ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას ყურადღება მიექციოს ამ საგანზედ.

ახალი ხიდის გარემო დღემდის დიდი სიჩუმე იყო, დუქნები დახურული, სახლები ცარიელი; დღეს-კი აქაც გაჩაღდა სიცოცხლე. მეტადრე სამიკიტნოები «ძმა ბიჭებისაგან» აკლებულია. ეს ძმა-ბიჭები ცოტა არ იყოს, უზღველად ექცევიან მოსიარულე ხალხს, უმეტესად ქალებს. «შენი ჰირიმე ბარონა», «ბრანწი გოგონას», და სხვა ამ გვარ შაქარ-შაქარ სიტყვებს მიაყოლებენ ხოლმე მოსიარულე ქალებს. ამასაც ყურადღება ექირება.

თითქმის ყველა ჩვენი სტუდენტები, რომელნიც სწავლობენ სხვადა-სხვა მაღალ სასწავლებლებში, ამ ჟამად მუთაისში არიან თავ-მოყრილნი, ვინც წერეულს შეასრულა გიმნაზია, ორი-სამის გარდა, ყველანი მიდიან მაღალ სასწავლებლებში; უმეტესობა მღვდლის მიემგზავრება. არ ვიცით რისთვის აუქციეს ზურგი ახალმა კურს-შესრულებულებმა ხარკოვის ტენოლოგიურ ინსტიტუტს, რომელიც ამ სექტემბერში გაიხსნება ახალად გახსნილ სასწავლებელში ვაკანსიებიც ბევრია, და შესვლაც ადვილია.

ქუთათური მქალაქისი.

თელავი, აგვისტოს 30-ს. წლებად დღეი ზაფხული უფერულად მიმდინარეობს აქ. თუმცა უწინდებურად ხალ-

თორემ განა სამწერლო მასალად არ გამოდგება მე 40 წლების და დღევანდელი სტუდენტის ბასი, რომლის მოწამედაც სრულიად უნებურად დავსწარი ამ ერთი თვის წინად? პირველი ეუბნებოდა მეორეს: ჩვენ, მართალია, სიმწიფის ატესტატები არ მიგვექონდა, მაგრამ იქილამ-კი დამწიფებული ჩამოვდიოდით; ჩვენ იქ, მეცნიერების ტაძარში ოთხი წლის მაგიერად, ცხრა და ათი წელი ვრჩებოდით და რაც რუსეთში გვაკლდა, საზღვარს გარედ ვიძენდით; თქვენ-კი ოთხს წელიწადს-კი არა, სამსაც არა რჩებით უნივერსიტეტის კარმიდამოში. პოველს წელიწადს სამ სამ თვეს სამ-შობლოში სეირნობას და გზაზე წოწილას უნდებოდა, 3x4, ესეც 12 თვე, გამოვიდა ერთი წელიწადი; ახლა ამას ის დროც დაეუმატოთ, რომელიც გიმნაზიის სკამიდან გაცნობილს გიმნაზისტკასთან მიწერ-მოწერას უნდებდა და გამოვიდა, რომ მეცნიერების შესასწავლად დარჩა სულ სამი წელიწადი, რამოდენიმე თვე ნაკლებ. აბა ასეთი მოკლე დრო როგორ კმარა ორი სამი მეცნიერების შესაძენად? მერმე მაშინდელ რუსეთის საუკეთესო ახალ-გაზდებთან გვექონდა დამოკიდებულება და ჩვენ

ხი საქმარისად მოვიდა საზაფხულოდ თელავში, მაგრამ წინანდელი სიმხიარულე და სიკვლუცე აღარ ეტყობა ჩვენს ქალაქს.

დაგენატრულება შუბლ-გახსნილი და მოღიმარი სახის ადამიანის დანახვა აქ: ყველას ჩამოუშვიო ყიყვები, ჩუმპრომპტს ყველა, თითქო და მთელი სიცოცხლის საუნჯე დაუკარგავს და მას დაეძებსო.

მუდმივ მცხოვრებთ ერთმანეთში რომ გასასწორებელი რამე ჰქონდეთ, დროებით მოსულთ მასში რა საქმე აქეთ, მაგრამ დასწყველოს ღმერთმა ჰორიანი ენა, — მოსული ხალხიც გაიტაცა ენატანია ქარმა. თელავის უფერულობის მიზეზი პირველად ეს არის და მეორე — კოტრობა და ისევე კოტრობა. მართალია, ყველგან უჩივიან კოტრობას, მაგრამ თელავში ამ სენს კარგი ნიდაგი უპოვია. ეს სენი აქ ისე გავრცელდა, რომ თვით უზარმაზარ: «Товарищество на Вѣрѣ-საც» კი ფერი უცვალა შიშით. პირველად თუმცა მედგრად დაუხვდა «Товарищество», მაგრამ სადაც უზარ-მაზარი სკოპინი ვერას გახდა, რასაკვირველია, «Товарищество»-ს უფრო სიფრთხილე მართებს. სწორედ ამითი აიხსნება რომ «ტოვარიშესტვომ» ხელი მიჰყო სხვის თამასუქების დაგირაგებას ნათალ ფასად.

დაგირაგებას ჯანი გაჰვარდეს, მაგრამ ვადის დროს თამასუქის პატრონს შეაქვს ფული, ფულს იღებენ, რასაკვირველია, და თამასუქი კი ჩაიყლაპა, მორევი ჩავარდა, და მის პატრონი რაღას მიიღებს...

ესე მოუვიდა ერთს ოთხმოცი თუმანის თამასუქის პატრონს. მას იგი ათ თუმნად ჰქონდა დაგირაგებული «ტოვარიშესტვოში». ათი თუმანი შეი-

და ისინი ევროპიული განათლების ჰაერს ერთნაირად ესუნთქავდით. თქვენ ვისთანა გაქვთ დამოკიდებულება რუსეთში, იმისას არას მოგახსენებთ. იცოცხლე, მკითხველო, ამაზე კარგი პასუხი მეორმოცე წლის სტუდენტმა მიიღო, მაგრამ ჯერ იყოს ეგ პასუხი საიდუმლოების კოლოფში, აქ დამწიფდეს იგი და მე სრულიად დარწმუნებული ვარ თავის დროს თავს იჩენს, თუ ვინმე ხელის მომკიდებელი ეყოლა და გამოქვეყნებელი.

ამისთანა სერიოზულ სამწერლო საგანს რომ თავი დავანებოთ, საოხუნჯო მხარე ჩვენი ცხოვრებისა ხომ სრულიად აფერადებულია. წარსულ კვირას ერთი მეფელტონე შემივილა, მე დამითმე ალაგი, გორელების ნადიმი უნდა ავსწერო და ხორეშანების წერილი გამოვაქვეყნოვო, თორემ, პირობისამებრ, მე უნდა გამეშალა მკითხველის წინაშე ერთი ქართველის შეხედულება ცხოვრებაზე და საუბედუროდ, მეგონი, ეს შეხედულება უმეტესობას სჭირს ჩვენში. უღვივოდ, უზღაბოდ და უხუმროდ ჩვენში არაფერი არ იქნება ხოლმე და ეს ფაქტიც ამ სამს გარემოებაშია:

წარმოიდგინეთ თილიუჭურას სარდავი, სადაც ჩემი მეგობარი სტუ-

ტანა და აგერ რამდენი ხანია თამასუქი არ მიუღია, — დაგვიჩვენო, უთხრეს... ეს საქმე გიმნაზიების სკოლაშია და არ ვიცით რითი დაბოლოვდება.

შარშანდელმა ქვის-სროლიებმა და ღამის უშიშარმა რაინდებმა არც წელს დააკლეს გულს თელავს. დაბინდებდა თუ არა, ქვის სეტყვა მოდის აქ, მომეტებულად ქვა ემტრება ზემო-უბანს და გვირახის უბანს. ამ უბნებში შებინდებდა თუ არა, გავლა შეუძლებელი ჰხდება, ისე გავიყვებული მოდის ქვა. უბნის მცხოვრებნი, ხომ ისე არიან შეკვტილები სახლებში, რომ იხრჩობოდნენ, გარედ ვერ გამოდიან ქვის შიშით.

ღამის რაინდების წათამამება ხომ წარმოუდგენელია. სახლების და დუქნების მტვრევას ვინ იტყვის. ამ დალოცვილებმა დღე ღამედ გარდააქციეს. ამას წინედ კურდღელაურელს დედაკაცს დაეგირაგებინა ვილაც სისათვის ვენახი. ბამოერთმია ათი თუმანი და თავის შვილით გამგზავრებულიყო შინსკენ. ღამის რაინდებს ეს შეეცყოთ, დასდევნებოდნენ უკან და სოფ კურდღელაურის თავში წაერთმიათ ეს ფული. დედაკაცმა გამოაცხადა პ-ში. პ-ცია მაშინადვე შეუდგამათ ძენას, მაგრამ ბინდმა მოატანა და აბა ღამე რალა საქმე გაკეთდებოდა...

მზლა ამბობენ მიაგნო პ-მ კვალსაო. თუ ეს მართალია, სასურველია პ-მ ყველა რაინდები გამოაშკარავოს, შესაფერად დასაჯოს და მით ააცილოს, როგორც თელავს, აგრეთვე ახლო მახლო სოფლებსაც მათგან ხარკის აღება.

მთხის თვის დამწევართ ძლიეს გვე-

დენტი უსარგებლო არსებობა ტარპვის კლდიდამ გადაყრას უქადადა წარსულ კვირას.

აი, აქ დგას ერთი დიდი, თეთრ-სუფრა-ვადანეილი სტოლი, რომელიც ზედაც იმოდენი მწვანეილი ჰყრია, რომ ცხრა უღელ თარაქამის დამწეულს ხარს გააძობს, იმდენი მოთალი და კიტრი, — რომ ვერც ავლაბრის კინტო გადაახტება სკუპით, თეფშზე ქარვასავით შამაია გამოსკვირს, რომლის თავშიაც თილიუჭურას კუდები ამოუჩრია. მთხი კაცი ზის და ოთხჯერ-ოთხი ბოთლი დაკლილია, სამჯერ-ოთხი ხაესე დგას და სიუხვის სურათის დასამთავრებლად ტუჩ-მოტეხილი დოქი ქაფ-მორეული ღვინით სავსეთა სდგას სტოლის ყურეზე. ბოზბაშის ნარჩენი, მწვადის ნაჭრები ხაშლამის ხტილ-შემოღირღვილი ძეღვები აქა-იქ გაფანტულია სუფრაზე; პურის ნამუსრევით ერთი ოჯახი გაძღება გაქირების დროს. მართი მენახეთაგანი ისე აუტანია კახურს, ისე აპრუწვით არის, რომ მარცხენა თვალის კილო გაწვრილებია, ენა მოცვეთია და ისე ლაპარაკობს, თითქო ენის გოგრებზე ქონი მოუსვიათო. მრ სამს სიტყვას იტყვის და მარცხენა ღრანქით «ჰა-ის ჩაიძახებს. მრს მათგანს



ღირსა წვიმა. თუმცა არა ჩვეულებრივი გვალვა იყო წელს ძახეთში, მაინც პურის მოსავალი სამყოფი მოვიდა. როგორც ახლაც ვეყობა, წელს პური არ დაძვირდება, მით უფრო, რომ შეიძლება ახლანდელმა წვიმებმა სიმინდები მოაცოცხლონ. ჩვენ არა გვიშავს-რა, მხოლოდ მთელი ძახეთის ჩივილი საქონელია. თივა ბალახობა-შივე ამოიწვა. შანა არ გაიზარდა გვალვისაგან, რომ ბზე მაინც არის დარჩომოდან და თუ შემოდგომის ბალახიც არ მოვიდა, თქვენი მტერია, რაც საქონელს დაემართება. საშინელ სიციხეებს მოჰყვა საქონლის ჭირიც. თივლის მავრის სოფლებში ბევრგან არის ზოგან თურქული და ზოგან სხვა ჭირი.

მს არის მიზეზი, რომ საქონელს წელს ფასი აღარა აქვს. ხუთ, ექვს მანათად იმისთანა ფურს იყიდის ადამიანი, რომელსაც თავის დროზე ორ თუმანს, თხუთმეტ მანათ ნაკლებ არაფერს მისცემს.

მასურებთ, რომ მავრის ადმინისტრაციამ ჯეროვანი ყურადღება მიუქციოს ჭირიან სოფლებს, რომ სენი მთელ მავრას არ მოედოს.

ი. კასელი.

**ს. მ. ვ. პატარაძე** (ბარეთ ძახეთი) ივლისის 28-ს. ბათენება მოტანებული იყო, როდესაც ყვირილმა იმდევარია! მძინარეებს გულები დაგვიხეთქა და ყველანი ფეხზედ დაგვყენა; გულ-გახეთქილები მივსცივდით მამასახლის-გზირებთან, რომელნიც საშინელი კილოთი გვიწვეოდნენ, და ვკითხეთ: «რა ამბავია, რა არის? «ჰო, ჰო, პრისტავისაგან წელან ბძინება მოგვივიდა, დილაზედ ოცდაათი შეიარაღებული კაცი უნდა გამოც-»

თვალევი მეზურნეებით გაწითლებით, ხან აქედ გადიქცვიან, ხან იქით, ასე გგონია, წმინდა სანთლის ხერხემალი აქეთა. მართმა მათგანმა პირველად ღვინის დამწურავის ნოეს სადღეგრძელო მიართვა და აქ ბევრი რამეები გაახსენდა: მოაგონდა ცოლი, შვილი, ოჯახი, ძველი დიდება და ახალი არარაობა და ამასთანავე ისიც, რომ იგი ცოცხალი არსება და სიცოცხლე და ცხოვრება უნდა, და ასეთი კითხვა დააყოლა: ჰა? რა არის ჩვენი ცხოვრება, რა არის ჩვენი სიცოცხლე? ამ კითხვის პასუხს ვინ გაბედავდა, რომ აქ ერთი ხუმარა ქართველი არ დასწრებოდა? ამანაც ხსენებული კითხვა ზღაპრით განმარტა, რომელსაც მოკლედ გადმოგცემთ:

«მართი არაბი ხშირად სანადიროდ დადიოდა, სთქვა მან, ერთხელ ბევრი იარა მთად და ბარად, მაგრამ ვერას გახდა, დაიღალა და ბუჩქნარის პირად დასვენებას აპირებდა შეცრად ლომი მოვარდა და ის ის იყო, უნდა გადაეყლაპა. მხეცი ისე უეცრად წამოაწყდა მონადირეს, რომ იარაღის ხმარება ვეღარ მოასწრო და ახლა, მეტი გზა არა ჰქონდა, უნდა მუხლს დასდგომოდა. რაც ძალი-და-ღონე

ხადდეთ» და ყაჩაღებ გამოუდგეთო!» მართლაც-და, თუმცა გლეხებს მეორედ ღლეს კალოები ჰქონდათ, მაგრამ არ დაიზარეს, შეკმაზეც ცხენები და ორი საათის განმავლობაში ოცდაათამდე ცხენიანი კაცი რიყზედ დაიბადა (რიყე შუა-სოფელია).

შველას უხარია მდევარზედ წასვლა, ყველას ეჩქარება, რომ დროით გამოევიდონ თათრებს, რომელნიც წელიწადში არამც თუ ერთხელ ან ორჯელ, არამედ ხუთჯერაც და ექვსჯერაც დაეცვიან ხოლმე ივრის-ხეველებს, მიუღით მათი საქონელი და სასიკვდილოდაც არ ინდობენ ხოლმე მწყემსებს, მაგრამ ღლეს ის მულაღნოელები და თაქლა-ქარაჯაღელები არ იყენენ; ღლეს უნდა სხვა თათრებს გამოუდგენენ...

არც ერთი ხეობა არ ზიანდება თათრებისაგან ასე, არც ერთი ხეობიდან არ მიუღით იმოდენა საქონელი, რამოდენაც ივრის-ხეობიდან, რომელზედაც თხუთმეტოდე სოფელია გაშენებული. თათრების სოფელი მულაღნოე, რომელიც ყოველგვარ ყაჩაღების და ქურდების ბუდეა, ერთი ამ სოფელთაგანია; ჩვენმა მეზობლებმა—მულაღნოელებმა კარგად იციან ჩვენი სახლები, ბოსლები (გომები) და თვით ის მიწიერი, სადაც ჩვენი საქონელია გაშლილი და საიდგანაც ასობით სული მიუღით ხოლმე და ამისთვის ხშირი სტუმრები ბძინდებიან ჩვენი. არა ერთხელ დასცვიან ჩვენს საქონელს ხსენებული მეზობლები და ნახევარი წაუსხამთ. ჩვენები გამოსდგომიან, დაუჭერიათ ივრის, წარუდგენიათ ვისთანაც ჯერ არს, მაგრამ მეორედ ღლეს უარესად დაუზიანებიათ ესევე სოფლები. აი მიზეზი, რომელმაც ორი საათის განმავლობაში მოაყრევინა თ-

ჰქონდა, მოკურცხლა, მაგრამ ლომს როგორ გაასწრობდა? მართი წამიც და მხეცის ვახშიმი უნდა გამხდარიყო. მაგრამ ამ დროს თვალ-ჩაუწყდენელს ორმოს წაადგა. აქ უნდა გადახვეწილიყო, მაგრამ იქ, ჯურღმულში გველ-ვეშაპები დაიზღაზნებოდნენ. მონადირემ ვეღარა მოახერხა და შიგ გადაეშვა. მაგრამ ლმერთმა შეიბრალა და ორმოს კედლიდამ გამოშვერილს საროს ყლორტს ხელი მოსჭიდა; ყლორტმა შეიმარა. ზევით თუ ამოვიდოდა, ლომი გაგლეჯდა და ქვევით თუ დაემგებოდა გველ-ვეშაპები გადაყლაპავდნენ. ღარჩა ორს ცეცხლსა და სიკვდილს შორის. ძიდევ კარგი, თუ საროს შტო შეიმარებდა, ცოტანანს მაინც გაუგრძელდებოდა სიცოცხლე, მაგრამ უეცრად ერთი წყვილი თეთრი და შავი თაგვი გამოძვრა ხერხელიდამ და საროს ყლორტს ღრღნა დაუწყეს. ორი წამიც, და მონადირე გველ-ვეშაპთა უღოფად, სარჩოდ უნდა გამხდარიყო. ამ მდგომარეობაში რომ არის, დაავიწყდა ლომიც, ვეშაპიც, თაგვებაც და საროზე მობმულს ნაყოფს მიემართა, რომ მშვიერი კუჭი დაენაყრა. აი, ჩემო ბატონებო, სთქვა ხუმარამ ჩვენ, კაცთა ცხოვრება რასა ჰგავს!

ვი ოცდა-ათს მხედარს. შველანი კი იმას ღონობდენ და ხმა მალდაც ყვიროდნენ: «ჩვენც რომ აინალის თათრები გვეკონდეს, თათრები თავის დღეში ვერას დაგვაკლებენო!».. მართლაც და თათრების წინააღმდეგ, რომელნიც აინალის თათრებით და სხვა-და-სხვა იარაღით შეჭურვილნი არიან, ქართველებმა რა ჰქნან? მანამ ქართულ თოფს გასტენს კაცი და გაისურის, აინალი ოცჯერ გავარდება.

ორი წლის წინედ ივრის ხეველებმა თხოვნა მიართვეს მთავარ-მმართველს რომ მას ემუხამდგომლა მთავრობის წინაშე და სოფელზედ ოცი ან თხუთმეტი აინალი, ან ბერდიანკა გამოსვლოდათ. მს თოფები ჩაბარებული ექნებოდათ «უჩასტის პრისტავს» და ამ გვარ შემთხვევაში ისარგებლებდნენ, მაგრამ იმ თხოვნის პასუხი ჯერ არ გამოსულა.

იმას მოგახსენებდით, ოცდა-ათი კაცი იმ დღითვე გამოვიდა ბერთუბან-პატარაძეულიდან; ბევრი კიდევ სხვა-და-სხვა სოფლებიდან, ასე რომ ორასამდე ცხენოსანი შეიარაღებული კაცი გამოეცხადა სართის-ქალის პრისტავს, რომელიც გაუძღვა მათ წინ ქარაიასკენ თათრების საქმენელად. ბევრი ეძებნათ იგი, მაგრამ ამოდ, რის გამოც ოთხი დღის შემდეგ დაეთხოვნა პრისტავს ივრის და მათ შემდეგ გარეგნელები წაეყვანა...

აქ ვაცხარებული მუშაობაა; ხალხი მეტის-მეტად მოუცლელად არის. მართალია, წელს მოსავალი ძლიერ ნაკლებად იყო, საქმე შინ ძლიერ ცოტა აქვთ გლეხებს, მაგრამ ეხლა ის დრო დადგა, როდესაც უნდა წავიდწამოვიდნენ და ლუკმა იმოვნონ, რომ ცოლ-შვილი შიმშილით არ დაეხოცოთ.

თაგვები ღლე და ღამეა; ესენი გვისწრაფიან საიქიოსკენ და გვიღვევენ წუთი-სოფელში ცხოვრებას... ამისათვის იმ მონადირასა არ იყოს, ვიდრე ცოცხალი ვართ, ვკამოთ და ვიქვიფოთო. მაშ ვიქვიფოთო, სთქვა მეორემ, და ზედაც დააყოლა, ვადღეგრძელოთ ჩვენი მამული, რომელიც ამ ღვინოს გვაძლევს: ლმერთმა მოგვცა ჩვენ ღვინო მისთვის, რომ მოვილხინოთო და შემოსძახა «ლოთებო». აი ახლა კი დაერწმუნდი, რომ ბერძნების ანდაზა: in vino veritas (ღვინო—შეიქმს ჭეშმარიტებასო) ნამდვილი ყოფილა. წინედ რომ კარგი მამულის-შვილები გვეყვანდნენ, ალბად იმიტომ, რომ ღვინო ბევრი მოდიოდა. მს ხასიათი ახალ-გაზდა ქართველსაც ემჩნევა ხოლმე. ღვინის ორთქლი რომ შემოეხვევა მისს ტვინს, მაშინ გაახსენდება ქერივი, ობოლი, მამული და მამულის-შვილობაც. ამიტომ ლმერთმა ნუ ჰქნას, რომ მისინერისთანა კაცი ჩვენში მოვლინებულიყოს, ან ფილოქსენის სრულიად დაგვაიწყებდა. ამასთანავე სასურველია, რომ ძახეთის მამულეები სულ მთლად მაინც არ გაიყიდოს... ბორელები თავის დღეში არ

«მგელს მგლობა ერქვა და ტურამ ქვეყანა ამოაგდოვო», ნათქვამია; თათრების ქურდობაზედ რომ მოგახსენებთ და მართალიც არის, მაგრამ თითო-ორიოლა ქართველებმაც გაიმარხიანეს მათ საქმეში ხელი: ივლისის 27-ს მე გაახლებოდით ქალაქიდან პატარა-ძეულში. რაკი დამიღამდა, იქვე სართი-ქალის ღუქანში შევედი ნაცნობ მეღუქნესთან და იმ ღამეს იქ დავრჩი. იქვე ღუქნის გვერდზედ იყო გამოშვებული შვიდი კახური ურემი. მართი საათი-ღა აკლდა გათენებას, რომ უცებ კარზედ ვიღამაც დამბახა დასცალა. ღუქანში მყოფნი გარედ გამოეცვივდით, წინ შეგვხვდა რუისპირელი მეურმე მკლავ-ჩამოშვებული, რომელიც მწარედ «ვაი, ვაის» ღრიალებდა. შემდეგ ჩვენი კითხვისა, აი მან რა გეპასუხა: «ურემზედ მეძინა, უეცრად რალაცა ხახუნი მომესმა, წამოვიხენდე და დავინახე რომ ერთი კაცი ძირს იდგა, მეორე ამოსულიყო ურემზედ და ხურჯინის თვალს სჭირდა. ღვიხენდე ურემზედ და აღარც საცალოები იყენენ; მაშინათვე მივხენდი, ქურდები იქნებოდნენ და შევივლე: «ენა ხართ, თქვე მ—ებო»; მან მაშინვე მოსჭრა ხურჯინს ცალი თვალი, რომელშიაც ხუთი მანათის ნავაჭრი მქონდა, შემდეგ დამიშვა კომბალი და აი მკლავი ღამის ჩამომივარდეს, მარცხენა ხელით საფანტით ვატენილი დამბახაც ვესროლე და მგონი კიდევაც მოვახვედრე. მეორემ იქვე პატარაძეულელ მეურმეს საცერი ააჭრა და ორნივე გაიქცინა». მს ამბავი მოხდა, ბატონებო, დილის სამს საათზედ ღუქნის კარებ წინ იმ სოფელში, სადაც ერთი მოხელეცა სცხოვრობს. ღაღონებული და მკლავ-ჩამოვარდნილი გაცარცული მეურმე მეორე ღლეს

იზმენ მავას, რადგანაც ღვინის სარდლები ცოტანი იქმნებიან და ძველებს აგებაც გაძვირდება.

რაიცა შეეხება ხორეშანების წერილს, ის, მე მგონია, ვილაც ბერმოფროდიტის დაწერილი იქნება და მივირის კიდევაც, რომ ამ წერილს ქალის სახელი აწერია. თუ მართლა ქალია იმისთვის უკვდავ შოთას ჩვენს მაგიერად მოუშაადებია პასუხი:

სჯობს საშორე დაიცვას,  
ვისგან ვითა დათმობის,  
გიღიზღებს და შეგიკეთებს,  
მიგინდავს და მოგუხდავს;  
მართ მანახდავ გიდავტებს,  
გაჭკვეოს, რაცა დაქსობის,  
შით დაიცვას სამადავი  
აჩასთანა არ კოსობის.

ზეყოლია ტიპები, თუ არა?

ს. ყ—ფ—ნი.



დუქნის კარებთან უნუგეშოდ დაძრ-  
წოდა ღონე მიხრწნილი ისე საცოდა-  
ვად ლაპარაკობდა და ღონობდა, რომ  
აღამიანს ტირილი მოუვიდოდა.

მრიოდ სიტყვა მამასახლისებზედ  
და მოსეს გზაზედ: თუცა ძველი მა-  
მასახლისები გამოცვალეს და ახლები  
კიდევაც ამოიჩიეს, მაგრამ თანამდე-  
ბობას ისევ ძველები ასრულებენ. ახ-  
ლა ხათბალა ის არის, რომ ძველს  
მამასახლისებს ხალხი აღარას უგო-  
ნებს, აღარ ევობება და ახლად ამო-  
ჩეულს ეუბნებიან, ჯერ შენი საქმე  
არ არისო. ამ ამბის გამო სოფელ-  
ში ბევრი რამ უწესოება გაგრცვლდა.  
ბუშინ წინ, ხარჯის გაწერის დროს,  
ერთმა გლეხმა ბერთუბნელი მამასახ-  
ლისი გალანძღა და ორიოდ კიდევაც  
მიართყა, რისთვისაც ხსენებულმა მა-  
მასახლისმა საჩივარი მიართვა მაზრის  
უფროსს.

«მამასახლისობის გამო, ლამის  
აგრეთვე მშვენიერი გზები წავიხდეს.  
სოფ. ხაშმის სამხლეთარში—კოლაზედ  
თავის ღღეში კარგი გზა არა ყოფი-  
ლა. ჩვენდა სახიამოვნოდ, წველს ქვი-  
შა დააყარეს და კოლა გაამშვენიერეს,  
თუმცა ალაგ-ალაგ ბოგირები დარჩათ  
გასაკეთებელი, რისთვისაც მგზავრი  
ღღემდინ ისევ ძველ გზაზედ დაიარე-  
ბა; მაგრამ ეს ძველი გზა ისე გააფუ-  
ქეს ხაშმელებმა, სიმინდის მორწყვის  
დროს, რომ არამც თუ ურმით, — ქვეითი  
კაცისთვისაც გავლა ძლიერ ძნელია,  
ღღეში ორი ურემი უნდა გადებრუნ-  
დეს და დაიმტვრეს. ამას წინად ერთი  
ფქვილით სავესე ურემი გადებრუნდა,  
საცალოებს პირი წაასკდათ და ფქვი-  
ლი სულ ტალახში ჩაიხანა. იმედო  
გვაქვს, ყველა ჩამოთვლილ უწესოე-  
ბას ჯეროვანი ყურადღება მიექცე-  
ვა...»

6. ლ—ქ.

### ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“  
ავიეტოს 4-ს.

პატივმღებნი. უმაღლესად ნაბრძანე-  
ბის შედგენილ იქმნას მესამე ბრიგადის  
ზირგულის საგზარდო და საკვანდარო  
დავიზიისა, ყაზახთა ლეიბ-გვარდიისა  
და საატამანო ლეიბ-გვარდიისა პოლკე-  
ბისაგან და ურადის ყაზახთა ლეიბ-  
გვარდიის ესკადრონისაგან.

სექტემბრის 25 პეტერბურგში შესდ-  
გება კრება რკინის მწარმოებელთა,  
რომელთაც მონაწილეობას მიაღებენ  
სანდო ზიანის სასემპიფო ქონებათა  
და ფინანსთა სამინისტროებისა, აგ-  
რეთვე წავაერთა საბარყო კომიტეტე-  
ბისა და საზოგადოებათა. თავსმჯდო-  
მარედ იქნება სასემპიფო ქონებათა  
მინისტრო.

გასუთების ცნობათა თანხმად იმ  
დროსვე, რაცა რკინის-გზათთვის  
შედგენილია ახალა წესდება დაიწყო  
მ. აქმედებას, გადაწყვეტილია, რომ  
მაშინვე ერთხელ და სამუდამოდ გას-  
წარებული და წესში მოყვანილი იქმნას

რკინის-გზებისა და მმართველობის  
შარის ყოველივე ფულის ანგარიშა,  
რისთვისაც განზრახვა აქვთ სასემპი-  
ფო კონტროლთ. ნ სპია წლით ცალკე  
კამისა დაინიშნოსო.

სტამბოლი. საფრანგეთისა და  
ესპანიის შარტებიდამ ხმელთა-შუა-  
ზღვით მოსული საქონელი და-  
დახელის სრუტეში სასტავად ისინ-  
ჯება სანიტარულის მხრათ

### „დროების“ ფოსტა

დ. შეირილას. მარგანეცის მწარმოე-  
ბელს. ალბად კუდი მოგწვიათ და ის  
გადასაჩვენებთ

მ. ფ-ს, ი. ს-დეს. თქვენი „ლექსი“  
ლექსი არ არის.

დ. ყ-ს, მ. კ-ს. იყო მაგ საგნის  
შესახებ „დროებაში“ დაბეჭდილი.

მ-ს, მ. ნ. ხ-ს. ვიმოფინოთ კვ  
პოლეშიკა, თუ თქვენი საწყისი არ იქნე-  
ბა.

დ. ფ-ს მ. ა-შეილს. არ გამოგვაშ-  
კარავებინებენ.

მ. ფ-ს. მ. კ-ს. დირს დასაჩვენებ?

მ-გეთში მცხოვრებთ. ვინ დაგვა-  
ბეჭდათა?!

ი. დ-ს; ს. ბ-დეს; მ. დ-დეს; მ. ჩ-  
დეს. თქვენი წერილები და ლექსები არ  
დაიბეჭდათა.

### განცხადება

სამაზრო და საბოლოო სახლი  
**ვალდისა ვაგაბანისა**  
გარშეში „ნოვა სკოლა“ ქუჩაზედ № 55  
მიიღებს შეკეთილს საქმეს ყოველგვარ ვაჭრო-  
ბისა და აღებ მიტების შესახებ მთელის იმპერიადამ.  
შეკეთილს ასრულებს ძალიან ჩქარა და მარჯვედ.  
მასამსჯელოს კოტას იღებს.  
პინც ისურვებს, საუკეთესო რეფერენციებს გუ-  
გზავნან. (6 4)

### პოსტო

იმ პირობით, რომელთაც აქვთ შავის  
ზღვის პირზედ, რიონზედ ან სხვა დიდ  
მდინარეებზედ

### გუხის ტყეები

და სურთ მათი გაყიდვა, ან იჯარით  
გაცემა ექსპლოატაციისათვის, მომპარ-  
თონ მე ამ წლის სექტემბრის ათამდე,  
მაცნობონ თავიანთ პირობები და ისიც,  
თუ რა დოკუმენტების ძალით ჰფლო-  
ბენ ამ ტყეებს.

ნათიცი ვეკილი მალერიან მიხეი-  
ლის-დე ბარბოესკი—ზარანეკ.

თბილისი, ბოლოვინის პროსპექტი,  
დობრენსკის სახლი. ნახეა შეიძლება  
ყოველ ღღე საღამოობით 7—9 სა-  
თამდე. (2—2)

### თბილისის სათავად-ახნაურთა ბანკისაგან

ბამეგობა თბილისის თავად-ახნაურთა საადგილ მამულო ბანკისა თანა-  
ხმად თებერვლის 17 1881 წლის ბანკის წესდების § 15-ისა ამით აცხადებს,  
რომ 1885 წ. სექტემბრის 25 ს დღის 12 საათზედ თბილისში, ბანკის სად-  
გომში სოლოლაკის ქუჩაზედ თავადი გრუზინსკის სახლში № 13 გაიყიდე-  
ბა ქვემო მოხსენებულთ პირთ უძრავი მამულები ამ ბანკიდან აღებული  
სესხზედ გარდასახადის შემოუტანელობისათვის, წესდების §§ 13, 14, 15,  
17, 18 და 19 თანახმად.

მაგალაშვილისა, ნინო სარდიონის ასული. ვენახი ზომით 6 დესეტ.  
მდებარე თბილისის გუბერნიის, სიღნაღის მაზრაში სოფ. ბაკურ-ციხეს.  
თავნი ვალი 1345 მან., გადასახადი 67 მან. 4 კაპ. სულ 1412 მან. 4 კაპ.

ნათიშვილისა, სოფიო ვაბრიელის ასული. ვენახი ზომით ორი დესეტ.  
და 100 საყ. თბილისის გუბერნიის, დუშეთის მაზრაში სოფ. დამალაში.  
თავნი ვალი 1340 მან. გადასახადი 66 მან. 84 კაპ., სულ 1406 მან.  
84 კაპეიკი.

წანდუკელი, ოტია გიორგის-დე. ვენახი შეიდი დესეტინა, თბილისის გუ-  
ბერნიის, დუშეთის მაზრაში, სოფ. არაგვის-პირს. თავნი ვალი 1800 მან.,  
გადასახადი 57 მან. 70 კაპ., სულ 1857 მან. 70 კაპ.

განხაძისა, მართა მიხეილის ასული. სავენახე ადგილები 3 დესეტ. თბი-  
ლისის გუბერნიის, სიღნაღის მაზრაში, სოფ. კარდანეში. თავნი ვალი  
1400 მან., გადასახადი 47 მან. 10 კაპ., სულ 1447 მან. 10 კაპ.

ანდრანკაშვილი, ალექსანდრე გიორგის-დე. სახნავი, სამოსახლო, სა-  
ძოვარი და სავენახე ადგილები ზომით 4 დესეტ. 960 კვადრ. საყ. თბილი-  
სის გუბერნიის, სიღნაღის მაზრაში სოფ. ზიარში. თავნი ვალი 800 მან.,  
გადასახადი 65 მან. 40 კაპ. სულ 865 მან. 40 კაპ.

განხაძე, გრიგოლ ნიკოლოზის-დე. ვენახი ერთი დესეტ. 1200 კვადრ.  
საყ. თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში სოფ. ბაკურ-ციხეში. თავნი  
ვალი 500 მან., გადასახადი 60 მან. 40 კაპ. სულ 560 მან. 40 კაპ.

განგანაგო, საქარია ივანეს-დე. ადგილი 7 დესეტ. და 920 კვადრ.  
საყ. თბილისის გუბერნიის, თელავის მაზრაში, სოფ. კურდღელაურში.  
თავნი ვალი 1700 მან., გადასახადი 82 მან. 8 კაპ. სულ 1782 მან. 8 კ.

გურგენიძისა, ქეთევან სოლომონის ასული. ვენახი 2 დესეტ. და 600  
კვადრ. საყ. თბილისის გუბერნიის, თელავის მაზრაში სოფ. შილდაში.  
თავნი ვალი 900 მან., გადასახადი 77 მან. 88 კაპ., სულ 977 მან. 88 კ.

გარდაშია, ალექსანდრე იაკობის-დე, ვენახი მიწით 7 დესეტ. და 600  
კვადრ. საყ. თბილისის გუბერნიის და მაზრაში საგაბაშვილო თხინვალაში.  
თავნი ვალი 2000 მან., გადასახადი 94 მან 80 კაპ. სულ 2094 მან.  
80 კაპეიკი.

აივანოვი, არტემ თადეოზის-დე. სავენახე და საძოვარი ადგილები ზო-  
მით 40 დესეტინა და 1900 კვადრ. საყ. თბილისის გუბერნიის და მაზრა-  
ში სოფ. ვალერიანოვკასთან. თავნი ვალი 1700 მან., გადასახადი 55 მან.  
8 კაპ., სულ 1755 მან. 8 კაპ.

ნათიშვილი, მიხეილ გიორგის-დე. ვენახი 2 დესეტ და 100 კვადრ.  
საყ. თბილისის გუბერნიის, დუშეთის მაზრაში სოფ. ქსოვრისში. თავნი  
ვალი 1200 მან., გადასახადი 104 მან. 4 კაპ., სულ 1304 მან. 4 კაპ.

ამილახვრისა, ანნა ალექსანდრეს ასული. სახნავი მიწები და ვენახი  
ზომით 23 დესეტ., თბილისის გუბერნიის, გორის მაზრაში, სოფ. ფლავ-  
ში. თავნი ვალი 1500 მან., გადასახადი 73 მან. 60 კაპ., სულ 1573 მან.  
60 კაპეიკი.

მაკრობა თანხმად წესდებულების § 18 დანიშნობა ზემო აღნიშნულის  
ვალადამ თავის გადასახადებით. თუ ამ წლის სექტემბრის 25-ს ვაჭრობა არ  
შესდგება, მაშინ წესდების 21 § ძალით დანიშნება მეორე და უკანასკნელი  
ვაჭრობა ოქტომბრის 9-ს. წესდების 16 § თანხმად მოვალეს ნება აქვს შე-  
მოიტანოს გარდასახადი სარგებლით ვალის გატარებისათვის და ის ხარჯიც,  
რომელიც მოუვა ბანკს მამულების გაყიდვის დანიშნებით ვაჭრობის დღემ-  
დის; ეს შეეხება მხოლოდ იმ მამულებს, რომლებზედაც აღებულს თავნ-  
ფულს ჯერ ვადა არ ვასელია. (3—2)

### ი. ა. ფორაქოვის და დ. ს. სარაჯოვის

სპირტისა და არყის დეპოზი (თბილისში დ. სარაჯოვის სახლებში სა-  
სახლის ქუჩაზედ).

### ისპიღება

დაწმენილი პური ან სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და  
სხვა გვარი დაწმენილი სპირტი.

მისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის აღრისით უნდა დაი-  
ბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и снирта И. Пору-  
кова и Д. Сараджева.

(20—6)